



GIANTI LOGISTICS

We Make It Happen

შპს „გიანტი ლოჯისტიკის“

კონსოლიდირებული მმართველობითი აღრიცხვა

19 ნოემბერი 2021 წელი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.....	3
საქმიანობის მიმოხილვა.....	4
ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტული მდგომარეობა	5
ჯგუფის ძირითადი პროდუქტები და ბიზნეს პროცესები.....	5
მშობელი კომპანიის შიდა სტრუქტურა და ის თუ როგორ ქმნის ბაზარზე ღირებულებას.....	6
ჯგუფის განვითარების გეგმები.....	7
ჩვენი მიზნები	8
ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების შესახებ	8
სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული, საოპერაციო რისკების, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა.....	9



RSM Georgia
85, Z Paliashvili Str.
Tbilisi 0162, Georgia
T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99
www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

გიათი ლოჯისტიკის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: ჯგუფის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, კონსოლიდირებული მმართველობითი და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხილავთ რაიმე სახის მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში არ არის თანხვედრილი კონსოლიდირებულ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით
გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

2021 წლის 19 ნოემბერი

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფი „გიანთი ლოჯისტიკის“ დაფუძნდა 2009 წელს, ჯგუფი მალევე დაკომპლექტდა გამოცდილი კადრებით, რომლებსაც დიდი გამოცდილება ჰქონდათ სფეროში განხორციელებულ პროექტებზე, სწორედ ამან განაპირობა მოწინავე პოზიციის დაკავება, „გიანთიმ“ დასაწყისშივე მომსახურების სრული სპექტრი შესთავაზა დამკვეთებს, თუმცა გამოირჩეოდა საკონტეინერო და არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვით. დამკვეთების რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდებოდა თანამშრომლების, ტექნიკის და შეთავაზებული სერვისების ჩამონათვალი. მშობელი კომპანია ეტაპობრივად, მზარდი ტემპებით ვითარდებოდა და განვითარების პარალელურად იხვეწებოდა შეთავაზებული მომსახურების ხარისხიც.

2013 წლიდან ჯგუფი არის ISO სერტიფიკატის მფლობელი, 2014 წლიდან ჯგუფი „ბიპის“ უშუალო კონტრაქტორი გახდა და დღემდე ახორციელებს „ბიპის“ სახიფათო და არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვას ქვეყნის შიგნით, გარდა ამისა არსებობს მანძილზე „გიანთი ლოჯისტიკის“ მუშაობდა სამხრეთ კავკასიის მილსადენის პროექტებზე ქვეკონტრაქტორის სახით.

2015 წლიდან ჯგუფის სერვისებს დაემატა საკუთარი საბაჟო ტერმინალის მომსახურება ფოთში.

მთავარი რითიც გამოირჩევა „გიანთი ლოჯისტიკის“ სფეროში წარმოდგენილი კომპანიებისგან ეს არის: შეთავაზებული მომსახურების მაღალი ხარისხი, პასუხისმგებლობა აღებულ შეკვეთებზე, დამკვეთის დროული ინფორმირების კულტურა და კოორდინირებული მენეჯმენტის სისტემა და რაც მთავარია შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

ჯგუფში შემავალი სხვა კომპანიების საქმიანობას წარმოადგენს: შპს „გიანთი ქონსტრაქშენ“ ს/ნ 405176900, ამ ეტაპზე კომპანიის საქმიანობა შეჩერებული გვაქვს, სავარაუდოდ სამშენებლო საქმიანობას დავიწყებთ მომავალში

შპს „გიანთი მოტორს“ გახლავთ ჩვენი მეორე შვილობილი, ს/ნ 405241484, დაარსდა 2017 წლის 30 ნოემბერს. მისი საქმიანობის სფერო გახლავთ სატვირთო ავტომობილების რემონტი და მათი მარაგი ნაწილებით ვაჭრობა, კომპანია ძირითადად ემსახურება გიანთი ლოჯისტიკის საკმაოდ დიდ პარკს, მაგრამ ამასთანავე ახორციელებს სხვა კლიენტების სატვირთოების მომსახურებასაც. კომპანიას ჰყავს 16 კვალიფიციური თანამშრომელი, რომლებიც თანამედროვე დანადგარებით ახდენენ სატვირთო ავტომობილების შეკეთებას, 2018 წლიდან გიანთი მოტორსი ახორციელებს საბურავების, საპოხი მასალების, ახალი და მეორადი ავტონაწილების იმპორტს. მენეჯმენტის აზრით აღნიშნული საქმიანობა პირდაპირ კავშირშია ჩვენს ძირითად საქმესთან, შესაბამისად სწორი ბიზნეს გათვლების შემთხვევაში წარმატების მიღწევა გარდაუვალია.

შპს „გიანთი ლოჯისტიკის აზერბაიჯანი“ ს/ნ 2004104811 დაარსდა 2016 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. ამ ეტაპზე მისი საქმიანობა შეჩერებულია

ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტული მდგომარეობა

მშობელი კომპანიის „გიანტი ლოჯისტიკის“ დაფარვის არეალი კავკასიის რეგიონი და ყოფილი დსთ-ს ქვეყნებია, ამასთან ჯგუფს ჰყავს სანდო პარტნიორები მსოფლიოს ირგვლივ. ჩვენი ქვეყნის გეო-პოლიტიკიდან გამომდინარე საქართველო ყოველთვის ასრულებდა ტრანზიტულ ფუნქციას, ამიტომაც ლოჯისტიკა შედარებით განვითარებული სფეროა, შესაბამისად კონკურენციაც საკმაოდ მაღალია, თუმცა „გიანტიმ“ დასაწყისშივე განსაზღვრა პრიორიტეტები და არსებობის მანძილზე მყარად მიყვება ამ პოლიტიკას: ეს არის ხარისხიანი პროდუქტზე ამბიცია, გამართული მენეჯმენტის სისტემა, რეგიონში ინოვაციური პროდუქტების დანერგვა, რაც გულისხმობს ტექნიკის მუდმივ განახლებას, სფეროში არსებული სიახლეების კვალდაკვალ მუშაობას და პერსონალის პროფესიულ ზრდას.

„გიანტი“ ყოველთვის ცდილობს იყოს ნოვატორი და დანერგოს ახალი მეთოდები, კომპანიამ პირველმა გამოიყენა გადატვირთვის ისეთი მეთოდები როგორიცაა ტვირთის გადასრიალება სასრიალო სისტემებითა და ჰიდრავლიკური დომკრატებით, რაც შესაძლებლობას იძლევა, დიდი ტონაჟობის ტვირთი გადაიტვირთოს ამწე საშუალებების გარეშე, რაც განსაკუთრებით ეფექტურია დახურულ სივრცეში მუშაობისას.

ჯგუფის ძირითადი პროდუქტები და ბიზნეს პროცესები

მშობელი კომპანია შპს „გიანტი ლოჯისტიკის“ შემდეგი მომსახურებებით არის წარმოდგენილი ბაზარზე:

- საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტირება
- საბაჟო-საბროკერო მომსახურება
- საპორტო მომსახურება
- კომპანიას გააჩნია კუთვნილი საბაჟო ტერმინალი ფოთში
- ტვირთების მიღება და დამუშავება
- ტვირთების შენახვა, დასაწყობება და აღრიცხვა ტერმინალში (საწყობში)
- საპროექტო ლოჯისტიკა
- ამწეებით მომსახურება
- ჰიდრავლიკური დომკრატებითა და სასრიალო სისტემებით მძიმე წონიანი ტვირთების დაცლა, დატვირთვა და ფუნდამენტზე მოთავსება
- მულტი-მოდალური გადაზიდვები
- უნიკალური სპეციალიზაცია: მძიმე/არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვა
- თანმხლები დოკუმენტაციის გამოშვება და დამუშავება, დაწყებული ნებართვების გაცემისა და სპეციალური ესკორტის უზრუნველყოფიდან, საბაჟო გაფორმებისა და დასაწყობებამდე
- ტვირთის ადგილმდებარეობის სტატუსის ყოველდღიური შემოწმება


შეთავაზებული მომსახურებების ჩამონათვალზე გავლენა იქონია ქვეყანაში/რეგიონში მიმდინარე პროცესებმა, „გიანტი ლოჯისტიკის“ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამხრეთ კავკასიის მილსადენის პროექტმა, აღნიშნულ პროექტზე მომუშავე კომპანიების მოთხოვნები, განსაკუთრებით შრომის უსაფრთხოებასა და პროცესების მიმდინარეობაში, ბევრად აღემატებოდა ბაზარზე არსებულ სტანდარტებს, მსგავს საერთაშორისო კომპანიებთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად აისახა ჯგუფის პოლიტიკისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, მოთხოვნების კვალდაკვალ იკვეთებოდა ახალი

შესაძლებლობები, ახალი შესაძლებლობების ათვისებისთვის აუცილებელი იყო სიახლეების დანერგვა ჯგუფის შიგნით, რაც მუდმივი განვითარების გზაა. დღემდე ჯგუფი ცდილობს მისდიოს რეგიონში მიმდინარე ბიზნესს პროცესებს.

ფოთისა და ბათუმის პორტების პოლიტიკა და შეთანხმებები აისახება რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, ასევე აისახება რკინიგზაში მიმდინარე პროცესები. სამწუხაროდ ბოლო დროს საქართველოს რკინიგზაში მიმდინარე პროცესებმა უარყოფითი როლი ითამაშა სარკინიგზო გადაზიდვების ზრდაში, ფასების ზრდამ შეამცირა გადაზიდვები, შესაბამისად სარკინიგზო გადაზიდვების მიმართულება ნაკლები დატვირთვით მუშაობს ვიდრე წინა წლებში.

მნიშვნელოვანი იმედები ემყარება ქარის გენერატორების პროექტებს, რომელიც დიდი რაოდენობით იგეგმება რეგიონში.

მშობელი კომპანიის შიდა სტრუქტურა და ის თუ როგორ ქმნის ბაზარზე ღირებულებას



ორგანიზაციის სტრუქტურა მოცემულია ნახაზზე, რომელზეც გარკვევით ჩანს თანამშრომლებს შორის თანამდებობრივი ურთიერთქმედება. თანამდებობრივი მოვალეობების ცხრილი განსაზღვრავს ორგანიზაციის სტრუქტურაზე მოცემული თითოეული პოზიციის ვალდებულებებს. ორგანიზაციის სტრუქტურა და თითოეული პოზიციის თანამდებობრივი ინსტრუქცია შეთანხმებული და დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ.

იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის კვალიფიკაცია, თითოეულ პოზიციაზე შექმნილია თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელიც ასევე მოიცავს აღნიშნული პოზიციისათვის აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კვალიფიკაცია მოიცავს განათლების, გამოცდილების, უნარების დამადასტურებელ დოკუმენტაციას/სერტიფიკატებს. შესაბამისი კვალიფიკაცია, ჩატარებულ ინსტრუქტაჟთან ერთად უზრუნველყოფს ყველა პოზიციის შესაბამის მოთხოვნებს.

თითოეული კადრის მიღებისას ხდება კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნა, მოთხოვნა შეიძლება წარმოიშვას ასევე კადრის პოზიციის ცვლილებისას ან პოზიციის მოთხოვნების ცვლილებისას. კადრებში ინახება პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ყველა თანამშრომელი გადის პირველად ინსტრუქტაჟს და კომპანიის მიზნების გაცნობითი სახის ტრენინგს.

„გიანთი“ ლოჯისტიკის მეტწილად დაკომპლექტებულია ახალგაზრდა კადრებით, თუმცა რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მმართველი მენეჯმენტამდე კარიერული წინსვლა გაიარეს რიგითმა თანამშრომლებმა, შესაბამისად პროცესებს მართავენ კადრები, რომლებიც კარგად არიან ჩახედულნი სფეროში, კგუფის მოთხოვნებსა და ღირებულებებში, და უღრმავდებიან პრობლემის წარმოქმნის მიზეზებს.

კარიერული ზრდის პერსპექტივები მნიშვნელოვანია რიგითი თანამშრომლის მოტივაციის გაზრდისთვის. „გიანთის“ მთავარი ღირებულება კვალიფიციური პერსონალია, რომელიც ძირითადი დასაყრდენია და რომლის მუდმივი განვითარება კომპანიის მთავარი პრიორიტეტია.

„გიანთი ლოჯისტიკის“ მმართველობითი ფორმა ვერტიკალურია, ყველა თანამშრომელს, მისი კომპეტეციის ფარგლებში, შესაძლებლობა აქვს მისი ხედვა გააცნოს მენეჯმენტს და შესთავაზოს საკითხის გადაჭრის მისეული გზა.

ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფის მიზანია მოტივირებული და კვალიფიციური კადრებით უპასუხოს მიმდინარე გამოწვევებს და იყოს სატრანსპორტო სფეროს ლიდერი რეგიონში, აღნიშნული მიზნის მისაღწევად/შესაანარჩუნებლად ყოველწლიურად ისახება გეგმები, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია: ავტოპარკის განვითარებასა და გაზრდასთან, ახალი ბაზრების ათვისებასთან, თანამშრომლების კვალიფიკაციის ზრდასთან. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების დახვეწა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თანამშრომლებს მუდმივად უტარდებათ პროფესიული ტრენინგები, როგორც გარე ასევე შიდა, ეწყობა „ვისწავლოთ შეცდომებზე“ შეხვედრები, სადაც განიხილება პროფესიული შეცდომები და იგეგმება მათი პრევენციის გზები, ჯგუფის მენეჯმენტი ცდილობს გამორიცხოს შეცდომების განმეორების ალბათობა.

აღმასრულებელი ხელმძღვანელობა ყოველწლიურად აანალიზებს შესრულებულ სამუშაოს და შედეგების გასაცნობად მართავს წლის შემჯავებელ თათბირს. თათბირზე აფასებს წლის განმავლობაში მენეჯმენტის სისტემის მუშაობის ეფექტურობას, განსაზღვრავს ცვლილების საჭიროებასა და შესაძლებლობებს.

ჯგუფის განვითარების გეგმებში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართულობა იმ პრობლემების მოგვარებაში, რომლებიც გავლენას ახდენს ლოჯისტიკური კომპანიის საქმიანობაზე, როგორიცაა მეზობელ ქვეყნებს შორის ეკონომიკური საქმიანობა/შელავათები, მონოპოლიურ სისტემებთან ბრძოლა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა.

„გიანთი ლოჯისტიკის“ მომსახურების ხარისხს განიხილავს როგორც მომხმარებლის კმაყოფილების მსაზღვრელს. ამ მიზნით ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს მომხმარებლებთან. რაც შესაძლებლობას იძლევა არა მარტო განისაზღვროს მომხმარებლების არსებული მოთხოვნები, არამედ წარმოდგენა შეიქმნას მოსალოდნელ/შესაძლო მოთხოვნებზეც.

იმისათვის რომ კარგად გვესმოდეს მომხმარებლების მოთხოვნები, ტარდება მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა.

კვლევის შედეგები ანალიზდება და იგეგმება შესაბამისი მაკორექტირებელი ქმედებები შესაძლო ჩავარდნების აღმოფხვრის მიზნით.

ჩვენი მიზნები

ჯგუფის მიზანს, მისი დაარსებიდან დღემდე, წარმოადგენს რა თქმა უნდა კმაყოფილი და ლოიალური კლიენტების ხარჯზე მიღებული მოგება, რომელიც საკუთარი ძალებით შესრულებული მომსახურების საფუძველზე გაცილებით მარტივად მიიღწევა. სწორედ ამიტომ, ჩვენი მენეჯმენტის ჯგუფი ყოველთვის ცდილობს, მომხმარებელს შესთავაზოს მომსახურებები, რომელსაც თავად ჯგუფი ასრულებს, ეს იყო მიზეზი საკუთარი საბაჟო ტერმინალის გახსნისა, ასევე საბროკერო მომსახურების მიმართულების დამატებისაც. ყველაზე მთავარი ჩვენს პროდუქტებში გახლავთ საგზაო გადაზიდვა, შესაბამისად ყოველწლიურად ვცდილობთ გავზარდოთ საკუთარი პარკი რათა სულ უფრო მეტ შემკვეთს შევთავაზოთ მათზე მორგებული მომსახურება, ჩვენივე ტექნიკით. განვითარება ხდება, როგორც სტანდარტული სატვირთოების შემენით, ასევე მძიმე და არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვისათვის საჭირო აქტივების გაზრდით.

ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების შესახებ

მშობელი კომპანიის შპს „გიანტი ლოჯისტიკის“ სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, სათაო ოფისში დასაქმებულია 45 თანამშრომელი, კომპანიას აქვს ოფისი ზესტაფონში, სადაც მუშაობს 3 თანამშრომელი, ოფისი ფოთში - 15 თანამშრომელი, საბაჟო ტერმინალი ფოთში - 43 თანამშრომელი, 1 წარმომადგენელი ბათუმში. ასევე ავტოფარეხი თბილისში - 6 თანამშრომელი.

ჯგუფის კოორდინაციას და სამუშაოების დაგეგმვას ახორციელებს მხოლოდ თბილისის ოფისი, დანარჩენი ოფისები წარმოადგენენ დამხმარე რგოლებს, რომლებიც მიღებული მითითებების შესაბამისად ასრულებენ დაგეგმილ სამუშაოებს.

ფილიალების აღწერა

ფოთის ოფისი, ჯგუფის დაარსებისთანავე ჩამოყალიბდა და ერთ-ერთი მთავარი ხერხემალია საგზაო და სარკინიგზო გადაზიდვების ორგანიზების. ვინაიდან საქართველოში შემოსული ტვირთების დიდი ნაწილი ზღვით და კერძოდ, ფოთის პორტით შემოდის, ფოთის ფილიალის არსებობა გარდაუვალია გადამზიდი კომპანიებისთვის, რადგან მათ მიერ ხდება ჩამოსული ტვირთების პორტში მიღება, დამუშავება, დატვირთვა, დაბმა-დამაგრება, გაფორმება, დოკუმენტების მომზადება და ა.შ.

ფოთის საბაჟო ტერმინალი, კომპანიამ ჩამოაყალიბა 2015 წელს, სწორედ მომეტებული ტვირთების გამო რომელთა შენახვა/დასაწყობება გვიწევდა სხვა ადგილას. ახლა უკვე ჩვენს კლიენტებს სრულ მომსახურებას ვთავაზობთ კონკურენტულ ფასად, ჩვენს სახელზე ჩამოსულ ტვირთებს (და არა მარტო) ვინახავთ საკუთარ საბაჟო ტერიტორიაზე, სადაც უმაღლეს დონეზეა სამეთვალყურეო და განათების სისტემები, 40 დასაქმებული ადამიანი ყოველდღე 24 საათის განმავლობაში არ წყვეტს ოპერაციების წარმოებას, ტერმინალს გააჩნია საკუთარი სარკინიგზო ჩიხები, რომელიც საშუალებას გვაძლევს დაცლა/დატვირთვის და გადატვირთვის სამუშაოები ყველანაირი შეფერხების გარეშე ჩავატაროთ.

ზესტაფონის ფილიალი შეიქმნა 2015 წლიდან, რადგან კომპანიამ გააფორმა კონტრაქტი იმერეთის რეგიონიდან საექსპორტო ტვირთების ფოთის მიმართულებით გადაზიდვებზე, პროექტის

მნიშვნელობიდან და მასშტაბიდან გამომდინარე მივიღეთ გადაწყვეტილება გაგვეხსნა ახალი ოფისი, სადაც დასაქმებული პერსონალი ემსახურება კონკრეტულად აღნიშნული პროექტის სრულყოფილად მართვის უზრუნველყოფას, ექსპორტის დოკუმენტაციის მომზადებას და ა.შ.

სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული, საოპერაციო რისკების, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა

ძირითადი რისკებია არაკონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, ფასების ხელოვნურად გადათამაშება, გადაზიდვაში ჩართული რგოლების (პორტი, რკინიგზა) არაკეთილსინდისიერი და მონოპოლისტური დამოკიდებულება, ქვეყნის კორიდორული ფუნქციის არასწორად გამოყენება, რაც აისახება ტრანზიტული ტვირთების ბრუნვის შემცირებაზე.

COVID-19- ის მოქმედება მოკლევადიანი იყო და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნეს პროცესებზე, ჯგუფი მოერგო სიტუაციას და შეაფასა ყველა რისკი, რამაც შეიძლება შეანელოს ჯგუფის მუშაობის პროცესი და აღმოფხვრა ისინი. მაგალითად, თუ შემოვა რეგულაცია რომ დაწესდეს სპეციალური ლიცენზია ჩვენს სფეროში, მუშაობა ყოველგვარი შეფერხებების გარეშე და აკრძალვების გარეშე, უსაფრთხოების რეგულირება, სამუშაო პროცესის ოპტიმიზაცია და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების დანერგვა, თუ იქნება საჭიროება თანამშრომლების სახლიდან მუშაობის. კომპანიას არ აქვს რაიმე მოლოდინი, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ჯგუფის ფუნქციონირებას.

საქართველოში პანდემიის გამწვავებასთან ერთად, ლოჯისტიკური მომსახურება არ გაჩერებულა. მაგრამ მსოფლიოში წარმოების და ტვირთბრუნვის შემცირების შედეგად (გარდა ძირითადი საჭიროებების გარდა) ჯგუფმა მნიშვნელოვნად შეამცირა გადაზიდვები.

ფიქსირებული აქტივების მცირე ზრდა შეინიშნება, რაც ჯგუფის პოლიტიკის გათვალისწინებით არსებული სატრანსპორტო საშუალებების ახალი თანამედროვე სატვირთო მანქანებით ჩანაცვლებაა. ზემოთ ხსენებული მსოფლიო ვირუსის გათვალისწინებით, მშობელმა კომპანიამ შეძლო ახალი სატვირთო მანქანების შეძენა.

ჯგუფს აქვს საკმარისი ლიკვიდური აქტივები 2021 წლის ვალდებულებების დასაფარად და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯგუფს არ შეექმნება პრობლემა 2021 წლის მოკლევადიან პერიოდში.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

გიანთი ლოჯისტიკის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: ჯგუფის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, კონსოლიდირებული მმართველობითი და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხილავთ რაიმე სახის მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში არ არის თანხვედრილი კონსოლიდირებულ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით
გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

2021 წლის 19 ნოემბერი

RSM Georgia
S. Chubinishvili

გესტაფონის ფილიალი შეიქმნა 2015 წლიდან, რადგან კომპანიამ გააფორმა კონტრაქტი იმერეთის რეგიონიდან საექსპორტო ტვირთების ფოთის მიმართულებით გადაზიდვებზე, პროექტის მნიშვნელობიდან და მასშტაბიდან გამომდინარე მივიღეთ გადაწყვეტილება გავგვეხსნა ახალი ოფისი, სადაც დასაქმებული პერსონალი ემსახურება კონკრეტულად აღნიშნული პროექტის სრულყოფილად მართვის უზრუნველყოფას, ექსპორტის დოკუმენტაციის მომზადებას და ა.შ.

სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული, საოპერაციო რისკების, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა

ძირითადი რისკებია არაკონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, ფასების ხელოვნურად გადათამაშება, გადაზიდვაში ჩართული რგოლების (პორტი, რკინიგზა) არაკეთილსინდისიერი და მონოპოლისტური დამოკიდებულება, ქვეყნის კორიდორული ფუნქციის არასწორად გამოყენება, რაც აისახება ტრანზიტული ტვირთების ბრუნვის შემცირებაზე.

COVID-19-ის მოქმედება მოკლევადიანი იყო და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნეს პროცესებზე, ჯგუფი მოერგო სიტუაციას და შეაფასა ყველა რისკი, რამაც შეიძლება შეანელოს ჯგუფის მუშაობის პროცესი და აღმოჩნდა ისინი. მაგალითად, თუ შემოვა რეგულაცია რომ დაწესდეს სპეციალური ლიცენზია ჩვენს სფეროში, მუშაობა ყოველგვარი შეფერხებების გარეშე და აკრძალვების გარეშე, უსაფრთხოების რეგულირება, სამუშაო პროცესის ოპტიმიზაცია და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების დანერგვა, თუ იქნება საჭიროება თანამშრომლების სახლიდან მუშაობის. კომპანიას არ აქვს რაიმე მოლოდინი, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ჯგუფის ფუნქციონირებას.

საქართველოში პანდემიის გამწვავებასთან ერთად, ლოჯისტიკური მომსახურება არ გაჩერებულა. მაგრამ მსოფლიოში წარმოების და ტვირთბრუნვის შემცირების შედეგად (გარდა ძირითადი საჭიროებების გარდა) ჯგუფმა მნიშვნელოვნად შეამცირა გადაზიდვები.

ფიქსირებული აქტივების მცირე ზრდა შეინიშნება, რაც ჯგუფის პოლიტიკის გათვალისწინებით არსებული სატრანსპორტო საშუალებების ახალი თანამედროვე სატვირთო მანქანებით ჩანაცვლებაა. ზემოთ ხსენებული მსოფლიო ვირუსის გათვალისწინებით, მშობელმა კომპანიამ შეძლო ახალი სატვირთო მანქანების შეძენა.

ჯგუფს აქვს საკმარისი ლიკვიდური აქტივები 2021 წლის ვალდებულებების დასაფარად და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯგუფს არ შეექმნება პრობლემა 2021 წლის მოკლევადიან პერიოდში.

ქავია ქუთუშ



„გიანთი ლოჯისტიკსი“ ჯგუფი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2020

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	i-iv
--------------------------------------	------

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ორგანიზაციის საქმიანობა.....	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
3. სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	17
4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება	18
5. შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან	19
6. მომსახურების დანახარჯები.....	19
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
8. სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა.....	20
9. ძირითადი საშუალებები	21
10. არამატერიალური აქტივები.....	22
11. სასაქონლო მატერიალური მარაგები	22
12. გადახდილი ავანსები.....	22
13. დებიტორული მოთხოვნები	23
14. ფული და ფულის ექვივალენტები	24
15. კაპიტალი.....	24
16. კრედიტორული დავალიანება	24
17. კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი).....	25
18. მიღებული სესხები.....	26
19. მოგების გადასახადი	28
20. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა.....	28
21. სამართლიანი ღირებულება	33
22. პირობითი ვალდებულებები	34
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	34
24. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	35



RSM Georgia
85, Z Paliashvili Str.
Tbilisi 0162, Georgia
T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99
www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გიანთი ლოჯისტიკის“-ს ჯგუფი მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „გიანთი ლოჯისტიკის“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2020 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშში.

მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2021 წლის 19 ნოემბრით.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობაა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან ჯგუფში განსაზღვრული შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ

მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

19 ნოემბერი 2021 წელი

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

შპს „გიანთი ლოჯისტიკის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული მოგება -ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან	5	42,608,780	63,886,933
გაწეული მომსახურების დანახარჯი	6	(33,518,970)	(53,348,202)
საერთო მოგება		9,089,810	10,538,731
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(6,727,267)	(5,455,541)
საექვო მოთხოვნების რეზერვის (ხარჯი)/აღდგენა	13	810,060	(2,084,542)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	8	(558,664)	151,768
საოპერაციო მოგება		2,613,939	3,150,416
საპროცენტო ხარჯი	18	(260,161)	(171,119)
უცხოური სავალუტო ტრანზაქციების მოგება/(ზარალი)	17	451,101	474,538
მოგება დაბეგვრამდე		2,804,879	3,453,835
მიმდინარე მოგების გადასახადი	19	(11,407)	(63,774)
წლის მოგება		2,793,472	3,390,061
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		2,793,472	3,390,061

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2021 წლის 19 ნოემბერს:

დავით ტულუში
გენერალური დირექტორი

მერაბ შანშაშვილი
ფინანსური მენეჯერი

შპს „გიანთი ლოჯისტიკის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
<i>აქტივები</i>			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	9	12,307,992	11,595,298
არამატერიალური აქტივები	10	354,254	35,223
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,662,246	11,630,521
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
დებიტორული დავალიანება	13	7,897,465	10,494,898
სასაქონლო მატერიალური მარაგები	11	993,408	848,542
გადახდილი ავანსები	12	958,278	824,740
საგადასახადო აქტივი		-	632,224
ფული და ფულის ექვივალენტები	14	1,040,242	1,871,588
სულ მიმდინარე აქტივები		10,889,393	14,671,992
სულ აქტივები		23,551,639	26,302,513
<i>კაპიტალი და ვალდებულებები</i>			
<i>კაპიტალი</i>			
საწესდებო კაპიტალი	15	1,986,624	1,741,987
გაუნაწილებელი მოგება		14,493,317	15,104,754
სულ კაპიტალი		16,479,941	16,846,741
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	18	3,272,608	3,355,623
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,272,608	3,355,623
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
კრედიტორული დავალიანება	16	2,394,474	5,132,348
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	18	1,368,246	967,801
საგადასახადო ვალდებულებები		36,370	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,799,090	6,100,149
სულ ვალდებულებები		7,071,698	9,455,772
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		23,551,639	26,302,513

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2021 წლის 19 ნოემბერს:

დავით ტულუში
გენერალური დირექტორი

მერაბ შანშაშვილი
ფინანსური მენეჯერი

შპს „გიანთი ლოჯისტიკის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრისთვის		1,571,200	14,483,983	16,055,183
საწესდებო კაპიტალში შენატანი	15	170,787	-	170,787
წლის მოგება		-	3,390,061	3,390,061
გადახდილი დივიდენდი		-	(2,769,290)	(2,769,290)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		1,741,987	15,104,754	16,846,741
საწესდებო კაპიტალში შენატანი	15	244,637	-	244,637
წლის მოგება		-	2,793,472	2,793,472
გადახდილი დივიდენდი		-	(3,404,909)	(3,404,909)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის		1,986,624	14,493,317	16,479,941

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2021 წლის 19 ნოემბერს:

დავით ტულუში
გენერალური დირექტორი

მერაბ შანშაშვილი
ფინანსური მენეჯერი

შპს „გიანთი ლოჯისტიკის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,793,472	3,453,835
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	9,10	1,592,187	1,232,151
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	17	(451,101)	(474,538)
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	13	(810,060)	2,084,542
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა და გაყიდვიდან მიღებული ზარალი	8	136,058	185,142
წმინდა საპროცენტო ხარჯი	14,18	260,161	171,119
<i>ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</i>			
კლება /(ზრდა) დებიტორულ დავალიანებაში	13	4,924,781	(5,517,271)
კლება /(ზრდა) გადახდილ ავანსებში	12	(133,538)	(340,464)
კლება /(ზრდა) სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	11	(144,866)	(108,898)
კლება /(ზრდა) საგადასახადო ნაშთებში		668,594	(332,028)
ზრდა / (კლება) კრედიტორულ დავალიანებაში	16	(3,092,165)	2,761,783
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		5,743,523	3,115,373
წმინდა გადახდილი პროცენტი	14,18	(260,161)	(171,119)
გადახდილი მოგების გადასახადი	19	-	(63,734)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები, წმინდა		5,483,362	2,880,520
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(3,070,131)	(4,066,622)
საწესდებო კაპიტალში შენატანი	15	244,637	170,787
არამატერიალური აქტივების შეძენა	10	(350,232)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		660,393	1,574,292
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,515,333)	(2,321,554)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
წმინდა ზრდა სასესხო ვალდებულებების	18	(701,668)	1,939,163
გადახდილი დივიდენდი	15	(3,404,909)	(2,769,290)
ფინანსური საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,106,577)	(830,127)
ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში			
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	14	1,871,588	1,893,177
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		(1,138,548)	(271,161)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	17	307,202	249,572
31 დეკემბრის მდგომარეობით	14	1,040,242	1,871,588

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2021 წლის 19 ნოემბერს:

დავით ტულუში	მერაბ შანშაშვილი
გენერალური დირექტორი	ფინანსური მენეჯერი

განმარტებითი შენიშვნები

1. ორგანიზაციის საქმიანობა

შპს "გიანთი ლოჯისტიკის" (ს/კ 204574503) (შემდგომში „მშობელი კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მშობელი კომპანია დაფუძნდა 2009 წლის 23 ოქტომბერს. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გულიას მოედანი, გვარდ.სამმ.მ/ტ., ნაკვეთ. 4/2, სართ. 3.

მშობელ კომპანიას აქვს რეგიონალური ოფისები ფოთში, ქუთაისში, ზესტაფონში და ბათუმში.

მშობელი კომპანია ახორციელებს საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტირებას. ასევე მშობელი კომპანიის საქმიანობა მოიცავს ჰიდრავლიკური დომკრატებითა და სასრიალო სისტემებით მძიმე წონიანი ტვირთების დაცლა, დატვირთვა და ფუნდამენტზე მოთავსება, საპორტო და საბაჟო-საბროკერო მომსახურება.

მშობელ კომპანიაში მფლობელებს შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დავით ტულუში (პ/ნ 42001005442)	50%	50%
გიორგი იდუკაშვილი (პ/ნ 01024012778)	50%	50%
სულ	100%	100%

მშობელი კომპანია აკონტროლებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	სარეგისტრაციო კოდი	კუთვნილობა %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	ინდუსტრია
შპს გიანთი ქონსტრაქშენ	405176900	100%	საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, საირმის გორა, N 31	18 ნოემბერი, 2016	მშენებლობა
შპს გიანთი მოტორს	405241484	100%	საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, საირმის გორა, N 31	30 ნოემბერი, 2017	ავტო-ტექ მომსახურება
შპს გიანთი ლოჯისტიკის აზერბაიჯანი		100%	აზერბაიჯანი რესპუბლიკა		ლოჯისტიკა

საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

საქართველოს ეკონომიკა გარკვეული სტრუქტურული გამოწვევებით ხასიათდება, რამაც COVID-19 პანდემიით გამოწვეული რეცესიის პირობებში საგარეო ფაქტორების მიმართ მოწყვლადობის რეალიზება გამოიწვია. საქართველო მცირე ზომის ღია ეკონომიკაა დოლარიზაციის ჯერ კიდევ მაღალი მაჩვენებლით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ ნაკადებზე მზარდი დამოკიდებულებით, რაც გლობალური ეკონომიკური და ფინანსური ტენდენციების მიმართ მოწყვლადობას განაპირობებს. მსოფლიო მასშტაბით COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, კერძოდ კი ისეთმა გარემოებებმა, როგორებიცაა მნიშვნელოვნად შემცირებული ეკონომიკური აქტივობა, ფინანსური ნაკადების შემოდინების კლება, განვითარებად ქვეყნებში გაზრდილი რისკის პრემია და, ასევე, პანდემიის გავრცელებასა და მის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, საქართველოს ეკონომიკის საგარეო ფაქტორების მიმართ მოწყვლადობის რეალიზება გამოიწვია. შესაბამისად, გაზრდილია ფინანსური სტაბილურობის რისკებიც.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ჯგუფის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ჯგუფი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ხარჯების ფუნქციურ კლასიფიკაციას. ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის

საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი არის კომპანია, რომელიც კონტროლდება დამფუძნებელი კომპანიის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც დამფუძნებელს პირდაპირ ან ირიბად შეუძლია გავლენა მოახდინოს კომპანიის ოპერაციებზე. შვილობილი კომპანიის ფინანსური მონაცემები ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ თარიღის შემდეგ როდესაც მშობელ კომპანიას გაუჩნდა კონტროლის უფლება და წყდება იმ დღეს, როდესაც მშობელი კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვეითება მთლიანად.

შემოსავლები

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

ჯგუფი შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

სატრანსპორტო მომსახურების დანახარჯი

სატრანსპორტო მომსახურების დანახარჯი არის ის ხარჯი რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ტრანსპორტირებით მიღებული შემოსავლის გამომუშავებასთან.

აღნიშნული მომსახურების დანახარჯები მოიცავს პერსონალის პირდაპირ და არაპირდაპირ სახელფასო ანაზღაურებას, საწვავის, მარაგების, საბაჟო და სხვა მოსაკრებლების ხარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით.

იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება ჯგუფის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება ჯგუფის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- | | |
|---------------------------------------|--------------|
| • შენობა - ნაგებობები | 5 - 50 წელი; |
| • მანქანა-დანადგარები | 3 - 15 წელი; |
| • ოფისის აღჭურვილობა | 3 - 20 წელი; |
| • ავეჯი | 4 - 15 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 - 20 წელი; |
| • იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა | 20 წელი; |

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება

შემძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ტარდება არანაკლებ დაგროვილი ამორტიზაციისთვის. ჯგუფში წარმოშობილი არამატერიალური აქტივები, კაპიტალიზებული განვითარების ხარჯების გამოკლებით, არ არის კაპიტალიზირებული და მასთან დაკავშირებული დანახარჯები აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როცა გაწეულ იქნა ეს დანახარჯები.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- | | |
|--------------------------------|-----------|
| • პროგრამული უზრინველყოფა | 5 წლამდე; |
| • სხვა არამატერიალური აქტივები | 5 წლამდე; |

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს.

აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების

შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, ჯგუფი ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, ჯგუფი ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, ჯგუფი გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
რეზერვის განაკვეთი	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით.

კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შპს „გიანთი ლოჯისტიკის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	\$	€
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.2766	4.0233
საშუალო გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	3.1104	3.5528
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.87	3.21
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული	2.82	3.16

მოგების გადასახადი

ჯგუფი მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კაპიტალი

ფულადი შენატანი საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი იზრდება არაფულადი შენატანის სახით, აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

3. სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, შემოსავლის აღიარება, ცვეთის და ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრა, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7)
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა,
- ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ჯგუფმა გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“- (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

მენეჯმენტის შეფასების აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „გიანთი ლოჯისტიკის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

5. შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან

	2020	2019
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	41,659,994	62,517,000
შემოსავალი სატერმინალო მომსახურებიდან	771,487	1,360,832
სხვა შემოსავალი	177,299	9,101
სულ	42,608,780	63,886,933

6. მომსახურების დანახარჯები

	2020	2019
ტრანსპორტირების ხარჯი	23,904,652	43,566,834
საწვავის ხარჯი	2,490,195	2,617,071
ხელფასის ხარჯი	1,796,862	1,542,458
მივლინების ხარჯი	1,381,166	1,155,293
პორტის ხარჯი	1,350,295	683,125
ცვეთის ხარჯი	1,198,758	993,079
დაცვა-გაცილების ხარჯი	884,284	995,857
საბაჟო მომსახურების ხარჯი	270,671	589,401
დაზღვევის ხარჯი	134,650	117,075
აგენტირების ხარჯი	53,779	47,844
სხვა ხარჯი	53,658	1,040,165
სულ	33,518,970	53,348,202

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასის ხარჯი	3,442,165	3,143,730
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი	1,796,233	745,851
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	421,944	236,227
სადაზღვევო ხარჯი	167,390	123,488
პროფესიული მომსახურების ხარჯები	149,132	153,684
საიჯარო ხარჯი	145,489	196,164
ოფისის ინვენტარის ხარჯი	139,216	211,567
ქონების გადასახადი	120,755	99,859
კომუნიკაციის ხარჯი	97,786	63,658
საწვავის ხარჯი	67,265	80,580
კომუნალური ხარჯი	48,451	42,124
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	12,657
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	131,442	345,952
სულ	6,727,267	5,455,541

შპს „გიანთი ლოჯისტიკის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

8. სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა

	2020	2019
სადაზღვევო ანაზღაურება	17,063	-
შემოსავალი საგადასახო ბარათთან შედარების შედეგად	-	441,194
შემცირებული საშემოსავლო გადასახადი (შეღავათი COV19)	100,545	-
შემოსავალი ჯარიმის ანაზღაურებიდან	19,366	-
სხვა	8,237	-
სულ	145,211	441,194
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან და ჩამოწერიდან მიღებული ზარალი	(132,775)	(185,142)
ბანკის საკომისიო ხარჯები	(30,985)	(20,278)
კონვერტაციის ხარჯი	(274,363)	(42,574)
სხვა	(81,291)	(41,432)
ხარჯი საგადასახო ბარათთან შედარების შედეგად	(184,461)	-
სულ	(703,875)	(289,426)
წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)	(558,664)	151,768

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	დაუმონტაჟებული ძირითადი საშუალებები	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	915,067	725,802	1,748,600	173,535	67,310	9,674,483	26,300	2,132,366	15,463,463
შემენა	32,898	939,949	373,942	73,404	18,885	2,608,646	18,898	-	4,066,622
გასვლა	-	-	-	-	-	(2,102,784)	(21,073)	-	(2,123,857)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	947,965	1,665,751	2,122,542	246,939	86,195	10,180,345	24,125	2,132,366	17,406,228
შემენა	66,750	66,541	173,157	93,434	37,831	2,632,418	-	-	3,070,131
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(52,307)	(2,479)	-	(1,073,808)	-	-	(1,128,594)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,014,715	1,732,292	2,243,392	337,894	124,026	11,738,954	24,125	2,132,366	19,347,765
ცვეთა									
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(112,632)	(350,194)	(79,086)	(31,814)	(2,344,607)	(2,775)	(2,024,901)	(4,946,009)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(45,274)	(166,292)	(31,435)	(12,253)	(972,504)	(1,546)	-	(1,229,304)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	360,520	3,864	-	364,384
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(157,906)	(516,486)	(110,521)	(44,067)	(2,956,591)	(457)	(2,024,901)	(5,810,929)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(81,785)	(220,066)	(43,766)	(16,873)	(1,175,273)	(23,223)	-	(1,560,986)
გასული/ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	12,259	1,171	-	318,712	-	-	332,142
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		(239,691)	(724,293)	(153,116)	(60,940)	(3,813,152)	(23,680)	(2,024,901)	(7,039,773)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	915,067	613,170	1,398,406	94,449	35,496	7,329,876	23,525	107,465	10,517,454
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	947,965	1,507,845	1,606,056	136,418	42,128	7,223,754	23,668	107,465	11,595,299
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,014,715	1,492,601	1,519,099	184,778	63,085	7,925,805	444	107,465	12,307,992

შპს „გიანთი ლოჯისტიკის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

ჯგუფის მიწის ნაკვეთები და სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 555,900 ლარს და 4,055,978 ლარს შეადგენს, დაგირავებულია სესხის უზრუნველყოფად (შენიშვნა 17).

ჯგუფის სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფა: მიწები მდებარეობს გარდაბნის და ფოთის საერთო ფართობით 15,047 კვადრატული მეტრი და 13,814 კვადრატული მეტრი შესაბამისად.

ჯგუფს აქვს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები ჯამური თავდაპირველი საბალანსო ღირებულებით 106,335 ლარი.

10. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	46,945	46,945
შემენა	-	-
გასვლა	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	41,562	41,562
შემენა	350,232	350,232
გასვლა	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	391,794	391,794
ამორტიზაცია		
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(3,492)	(3,492)
ამორტიზაცია წლის მანძილზე	(2,847)	(2,847)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(6,339)	(6,339)
ამორტიზაცია წლის მანძილზე	(31,201)	(31,201)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(37,540)	(37,540)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	38,070	38,070
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35,223	35,223
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	354,254	354,254

11. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საწვავი	38,101	38,738
საბურავები	389,209	179,238
ტექნიკური მარაგები	520,314	560,619
სხვა მარაგები	45,784	69,947
სულ	993,408	848,542

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო მატერიალური მარაგები არ არის დაგირავებული.

12. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	958,278	804,524
სხვა	-	20,216
სულ	958,278	824,740

შპს „გიანთი ლოჯისტიკის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები გადახდილ იქნა ძირითადი საშუალებების შესაძენად.

13. დებიტორული მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები კონტრაქტორი კომპანიების მიმართ	276,562	409,544
მოთხოვნები ლოჯისტიკური კომპანიების მიმართ	8,099,585	10,724,863
მოთხოვნები სხვა იურიდიული კომპანიების მიმართ	3,125,967	3,709,847
სხვა დებიტორული მოთხოვნები	74,645	139,998
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(3,679,294)	(4,489,354)
სულ	7,897,465	10,494,898

	დარეზერვების განაკვეთი		საბალანსო ღირებულება		გაუფასურების რეზერვი	
	2020	2019	2020	2019	2020	2019
	%	%	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
